

უხსო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ავსომატური საფუძველს ალრა წარმოადგენს

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის ივლისში ცვლილებები შეიტანა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონში, რომლის თანახმად დიდ წილად დადებითად შეიცვალა მოქალაქეობის მინიჭების წესი და პირობები.

კანონი, ინიციატორი
კანონი: „ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ “ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“
ინიციატორი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
ავტორი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილი კონსტიტუციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზების სამუშაო ჯგუფი
კანონპროექტის არსი
2017 წლის ოქტომბერს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ახლებურად დარეგულირდა მოქალაქეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: <ul style="list-style-type: none"> • უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება აღარ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ავტომატურ საფუძველს • განისაზღვრა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობები • შეიცვალა მოქალაქეობის მინიჭებისასთან დაკავშირებული ცენზები • განისაზღვრა მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების პირობები • შეიცვალა მოქალაქეობის შესახებ განცხადების წარდგენის, განხილვის, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი <p>ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მიმართ 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგვის თაობაზე, უფლება აქვთ, 2018 წლის 15 აგვისტოდან 1 წლის ვადაში მიმართონ სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით.</p>

1. მოქალაქეობის მინიჭებისთვის განსაზღვრული ცენზი	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
მოქალაქეობის მინიჭების ჩვეულებრივი წესის შემთხვევაში პირი უწყვეტად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში.	→ 10 წელი
საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის შემთხვევაში მოქალაქეობის გამართვებული წესით მინიჭების შემთხვევაში გათვალისწინებულია ცხოვრების 2 წლიანი ცენზი.	→ 5 წელი

2. მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება	
არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
პრეზიდენტი საგამონაკლისო წესით მოქალაქეობას ანიჭებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ქონდა ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.	<p>სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არის: <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი; 2. სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი; • სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ახორციელებს ან განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან შეიტანა; • სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში და მას სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს. <p>საგამონაკლისო შემთხვევაში მოქალაქეობის მინიჭებისას პირმა დადგინდეს ფარგლებში უნდა იცოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სახელმწიფო ენა • საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები

3. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობები სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში	
არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესაძლებლობას.	<p>უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება აღარ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ავტომატურ საფუძველს.</p> <p>საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისთვის განისაზღვრა შემდეგი პირობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია შენარჩუნებაზე საქართველოს სახელმწიფოსაგან თანხმობის მიღება. ▶ თანხმობა გაიცემა, თუკი საქართველოს მოქალაქის საქართველოსთან კავშირი სარწმუნოდ იქნება მიჩნეული. ▶ ამასთანავე, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე ვერ შეინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

4. მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრის წესის ცვლილება	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
მოქალაქეობის მინიჭების, შეწყვეტის, დაკარგვის წესი განისაზღვრებოდა პრეზიდენტის ბრძანებით.	→ განისაზღვრება მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დადგენილებით

5. მოქალაქეობის შესახებ განცხადების წარდგენა	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ განცხადებას პირი სურვილის შესაბამისად წარუდგენდა: <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს • საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას • საკონსულო დაწესებულებას • პრეზიდენტს. 	→ განცხადება აღარ წარედგინება პრეზიდენტს

6. მოქალაქეობის შესახებ განცხადების განხილვის წესი	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავდა და შესაბამის დასკვნას ამზადებდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ¹	საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებისა და საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხებზე განცხადებას განიხილავს სააგენტო, მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დახმარებით.

7. მოქალაქეობის საკითხთა კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მოქალაქეობის საკითხთა კომისიის შემადგენლობას: <ul style="list-style-type: none"> • კომისიის 2 წევრი - (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე) ინიშნება პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან • 2 წევრი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის • 1 წევრი - ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატიდან • 1 წევრი - სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან 	კანონმა განსაზღვრა კომისიის შემადგენლობა: <ul style="list-style-type: none"> • 2 წევრი (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე) ინიშნება სააგენტოს თანამშრომლებისაგან • 2 წევრი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისაგან • 2 წევრი - პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოსამსახურეებისაგან

8. მოქალაქეობის საკითხზე პრეზიდენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
შესაძლებელი იყო საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მოქალაქეობის მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებისა) დადგენილი წესით გასაჩივრება.	საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების თაობაზე გადაწყვეტილებისა, აღარ დაექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

9. მოქალაქეობის მიღების თაობაზე ხელშეწყობის მიმართვა	
ცვლილებამდე არსებული რედაქცია	ახალი რეგულაცია
მოქალაქეობის თაობაზე პირს ხელშეწყობა განცხადების წარდგენის უფლება ქონდა პირველი განცხადებიდან 6 თვის შემდეგ.	→ პერიოდი გაიზარდა 1 წლამდე

შეფასება/რეკომენდაცია	
<p>“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საერთო ჯამში დადებითად აფასებს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს - კერძოდ პოზიტიურია საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესაძლებლობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში ისევე, როგორც მოქალაქეობასთან დაკავშირებული რიგი საკითხების კანონის დონეზე დარეგულირება, ნაცვლად კანონქვემდებარე აქტებისა.</p> <p>თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს იმ ხარვეზების შესახებაც რომელიც არსებულ ნორმებს გააჩნიათ. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონპროექტის ინიცირების პროცესში არ იყო ინიციატორის მხრიდან შესაბამისი დასაბუთება წარმოდგენილი მოქალაქეობის მოპოვებისას საქართველოში ცხოვრების პერიოდის გამრდასთან დაკავშირებით? • როდესაც საუბარია სხვა ქვეყნის მოქალაქეობისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე, ბუნდოვანია და არ არის გამჭვირვადი რას უნდა დაეფუძნოს საქართველოსთან სარწმუნო კავშირის არსებობის ფაქტი. ამ მხრივ, დამაბუხებელი ჩანანების არსებობა კანონში მიზანშეწონილი იქნებოდა • პირთა უფლებრივი მდგომარეობის სათანადოდ განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია რომ სრულად შენარჩუნდეს მოქალაქეობის მინიჭების, შენარჩუნების, მინიჭებაზე უარის თქმისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. 	

1 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

2 ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხილული მიდგომა, ცხოვრების უფლება ზოგადი წესების შესაბამისად განსაზღვრულია 3, 5, 6, 7, 8, 9, და 10 წლის პერიოდით, თუმცა მეტწილად (11 ქვეყანაში) მოთხოვნა 5 წლიანი ცხოვრების პერიოდით, მათ შორის, ბელგიაში (<https://goo.gl/NSA6sm>), ლატვიაში (<https://goo.gl/X7DvQf>), ჩეხეთში (<https://goo.gl/asyqCU>), ბულგარეთში (<https://goo.gl/sNd952>), ფინეთში (<https://goo.gl/ydWaFM>), საფრანგეთში (<https://goo.gl/sd8L-np>), შვედეთში (<https://goo.gl/x13Hfe>). 5-იდან 10 წლამდე ცხოვრების მოთხოვნა 10 ქვეყანის შემთხვევაშია განსაზღვრული. ზოგადი წესების შესაბამისად 10 წლიანი ცხოვრების მოთხოვნა კი არსებობს 6 ქვეყანაში.